საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1609 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, არაქართულენოვანი გაზეთების „ვრასტანისა" და „გურჯისტანის" ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გამოუყოს 60 000 (სამოცი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) გაზეთ „ვრასტანის" ფინანსური მხარდაჭერისათვის - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი;

ბ) გაზეთ „ბურჯისტანის“ ფინანსური მხარდაჭერისათვის - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი